საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/172
18/01/2023

172-21-2-202301181124

შპს „ქართული საინვესტიციო ჯგუფი ენერგიას“
მის: ქ. თბილისი, კოტე აფხაზის 44, მეიდან პალასი, მე-2 სართული
ელ.ფოსტა: sandro@gigenergy.ge

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №6651 სკრინინგის განცხადება, რომელიც ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში, სოფ. მუხურში მდ. ხობისწყალზე ხობი 2 ჰესის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და მოცემული უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადების თანახმად, ძალური კვანძის, სადაწნეო მილსადენის და გამოსასვლელი პორტალის ტერიტორიები წარმოადგენს შპს ,,ქართული საინვესტიციო ჯგუფი ენერგიას" საკუთრებას, ხოლო წარმოდგენილი Shp ფაილების გადამოწმებით დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორიის ნაწილი (460 $მ^2$) ხვდება სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეში. ასევე ძალური კვანძის, სადაწნეო მილსადენის და გამოსასვლელი პორტალის ტერიტორია მოიცავს სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ, სახელმწიფო ტყის ტერიტორიებს (ს.კ N46.15.35.092, ს.კ N46.15.35.027, ს.კ N46.15.35.154, ს.კ N46.15.35.085, ს.კ N46.15.35.088, ს.კ N46.15.35.089). ყოველივე აღნიშნული საჭიროებს დაზუსტებას. ამასთან სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე საქმიანობის განხორციელებისთვის ტყის სტატუსის შეწყვეტის/განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის შესახებ;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, „ახალი სადაწნეო მილსადენის ფართობი ნაწილობრივ მოიცავს ძველი განთავსების ტერიტორიას, რომელზეც სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან შეთანხმებით განხორციელებულია მცენარეული საფარისაგან გაწმენდის სამუშაოები. იმის გათვალისწინებით, რომ საპროექტო ტერიტორია წარმოადგენს შპს ,,ქართული საინვესტიციო ჯგუფი ენერგიას"

საკუთრებას, დამატებით ხე-მცენარეების ჭრის შემთხვევაში განხორციელდება შესაბამის უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმება“. სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია სადაწნეო მილსადენის ტერიტორიაზე ჭრას დაქვემდებარებული ხე-მცენარეების შესახებ;

- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იქნეს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში გათვალისწინებული ინფრასტრუქტურის განთავსების GPS კოორდინატები;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო ტერიტორიას ესაზღვრება ზურმუხტის ქსელის საიტი (GE0000021), ხოლო წარმოდგენილი Shp ფაილების გადამოწმებით საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ზურმუხტის ქსელის საიტის ფარგლებში („სამეგრელო - GE0000021“), რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, ამ კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში სკრინინგის განცხადება უნდა მოიცავდეს ინფორმაციას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობისა და დაგეგმილი ცვლილებების შესახებ. მათ შორის სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში გათვალისწინებული ინფრასტრუქტურის (სადაწნეო მილსადენის და გვირაბის დიამეტრი, სიგრძე და სხვა, ასევე ჰესის შენობის) პარამეტრების შესახებ, ასევე განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია თუ რა მანძილით ხდება ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში გათვალისწინებული ინფრასტრუქტურის გადატანა;
- წარმოდგენილი Shp ფაილების გადამოწმებით დგინდება, რომ ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში იცვლება გვირაბის ადგილმდებარეობა, რაც ასახული არ არის სკრინინგის განცხადებაში;
- ვინაიდან ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში ხდება ახალი ტერიტორიების ათვისება, სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია მოსახსნელი ნიადაგის ნაყოფიერი ფენისა და მისი შემდგომი მართვის შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო